განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს რეგლამენტის პროექტი

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების დიდმა ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა საქართველოს პარლამენტს და უარი თქვა მოპოვებული სადეპუტატო მანდატების გამოყენებაზე. დაძაბულობის და შექმნილი პოლიტიკური კრიზისის შემდგომი ესკალაცია გამოიწვია საქართველოს პარლამენტის წევრისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ნიკანორ მელიას დაკავებამ და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებამ.

საქართველოში ვითარების ნორმალიზების, დაძაბულობის დეესკალაციისა და პოლიტიკური კრიზისის დაძლევის მიზნით, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მედიაცია ითავა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, ბატონმა შარლ მიშელმა, რომელიც 2021 წლის 1 მარტს თავად ჩამოვიდა საქართველოში და შეხვედრები გამართა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებთან, ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. ამის შემდეგ, მედიაციის შემდგომი ეტაპების წარმართვის მიზნით, საქართველოში ორჯერ იმყოფებოდა პრეზიდენტ მიშელის პირადი წარმომადგენელი, ბატონი კრისტიან დანიელსონი. მედიაციის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი საქართველოში ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელი კარლ ჰარცელი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანი.

2021 წლის 18 აპრილს პრეზიდენტმა მიშელმა გამოაქვეყნა შეთანხმების ტექსტი სათაურით „სამომავლო გზა საქართველოსთვის“, რომელსაც 2021 წლის 19 აპრილს (ქვემოთ - „2021 წლის 19 აპრილის შეთანხმება“) და შემდგომ დღეებში ხელი მოაწერეს საპარლამენტო მანდატის მქონე 7 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა და სხვა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიით საქართველოს პარლამენტში გასულმა ცალკეულმა დეპუტატებმა. შეთანხმების ხელმოწერას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართა, საქართველოს პრეზიდენტთან და ხელმომწერ მხარეებთან ერთად, დისტანციურ რეჟიმში, ესწრებოდა პრეზიდენტი მიშელიც, რომელიც მიღწეული შეთანხმების აღსანიშნავად, 2021 წლის 20 აპრილს კიდევ ერთხელ ჩამოვიდა საქართველოში და შეხვდა ყველა მხარეს.

2021 წლის 19 აპრილის შეთანხმების მე-3 პუნქტი, სათაურით „სამართლის უზენაესობა/სასამართლო რეფორმა“, ითვალისწინებს მნიშვნელოვან საკანონმდებლო ზომებს, რომელთა იმპლემენტაცია შესაძლებელია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის გზით.

საქართველოს პარლამენტში ინიციირებულია საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ. ზემოაღნიშნული პროექტი შედეგად იწვევს ცვლილების შეტანას საქართველოს პარლამენტის რეგლამენტშიც. ორივე პროექტი ერთ პაკეტშია გაერთიანებული.

წინამდებარე პროექტი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ შეესაბამება იმ ცვლილებას, რომელიც შედის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში და, რომელიც მიზნად ისახავს კანონმდებლობაში იმ ამბიციური ცვლილებების ასახვას, რომელსაც ითვალისწინებს 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმების მე-3 პუნქტი.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად რეგლამენტის პროექტის მიღების აუცილებლობა

ზემოთ აღწერილი პრობლემის გადაჭრა მოითხოვს შესაბამისი ცვლილების შეტანას საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი შედეგები

ამ პროექტის მიღების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი შესაბამისობაში იქნება მოყვანილი იმ ცვლილებებთან, რომლებიც შედის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი

წინამდებარე პროექტის არსი ის არის, რომ დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის არჩევისა და თანამდებობიდან გათავისუფლების პრეროგატივა გადაეცეს საქართველოს პარლამენტს.

დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის კანდიდატურის წარდგენის უფლებამოსილება გადაეცემათ ფრაქციას და უფრაქციო პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფს. დამოუკიდებელ სასამართლო ინსპექტორს საქართველოს პარლამენტი ირჩევს სრული შემადგენლობის უმრავლესობით და, ამავდროულად, სხვა კანდიდატზე მეტი ხმით.

დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლებელია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

წინამდებარე პროექტი ასევე შეესაბამება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატან ცვლილებას, რომლის თანახმად, ფართოვდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები.

დაბოლოს, წინამდებარე პროექტი ასევე შეესაბამება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატან ცვლილებას, რომლის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან იქმნება საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო, რომელსაც მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესში მონაწილეობის, მოსამართლეთა პერიოდული შეფასებისა და ორგანული კანონით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელების უფლებამოსილება ენიჭება.

წინამდებარე პროექტი ადგენს ზემოაღნიშნული საბჭოს წევრობის კანდიდატების წარდგენის, პარლამენტის მიერ მათი არჩევის და ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში თანამდებობიდან გათავისუფლების წესს.

ა.დ) რეგლამენტის პროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი კავშირი არ არსებობს.

ა.ე) რეგლამენტის პროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება

ვინაიდან ქართული სასამართლოს მიმართ დიდი ყურადღებაა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ და არსებობს მოლოდინი ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან სწრაფი და ეფექტური სასამართლო რეფორმის გატარების, კანონპროექტი ძალაში უნდა შევიდეს მისი გამოქვეყნებისთანავე. ის, ასევე, დადებით გავლენას მოახდენს ქვეყნის პოლიტიკურ გარემოზე, რომელშიც მაღალია პოლარიზებისა და დაპირისპირების ხარისხი, მათ შორის, სასამართლოს მიმართ უნდობლობის გამო.

ა.ვ) რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება

რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვა მოთხოვნილი არ არის.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (რეგლამენტის პროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი)

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

ამ პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ცვლილებას.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს ცვლილებას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, რეგლამენტის პროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით

რეგლამენტის პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია რეგლამენტის პროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა

ასეთი არ არსებობს.

ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

რეგლამენტის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე რეგლამენტის პროექტის ზეგავლენის შეფასება

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) რეგლამენტის პროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება რეგლამენტის პროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. რეგლამენტის პროექტი მთლიანად შეესაბამება 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმებას და მართლმსაჯულების სფეროში მისი დებულებების იმპლემენტაციის მიზანს ემსახურება.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან

ასეთი არ არსებობს.

დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

პროექტი გაეცნოთ სასამართლო რეფორმის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათი მოსაზრებები ასახულია პროექტში.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება რეგლამენტის პროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული რეგლამენტის პროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

ე) რეგლამენტის პროექტის ავტორი

ალექსანდრე ბარამიძე, დავით უსუფაშვილი, გიორგი ვაშაძე, ანა ნაცვლიშვილი, არმაზ ახვლედიანი, სალომე სამადაშვილი, თეონა აქუბარდია და ბადრი ჯაფარიძე.

ვ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი

რეგლამენტის პროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: დავით უსუფაშვილი, გიორგი ვაშაძე, ანა ნაცვლიშვილი, არმაზ ახვლედიანი, სალომე სამადაშვილი, თეონა აქუბარდია და ბადრი ჯაფარიძე